



ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში

ულტრამემარჯვენე რიტორიკა და ტენდენციები სოციალურ მედიაში

(მარტი-აპრილი)

2022 წელი

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდის სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა იქნეს აღქმული დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

შესავალი

ღიად პრორუსული და ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილი მედია პლატფორმები და პოლიტიკური აქტორები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე განსაკუთრებით აქტიურობენ. კრემლისტური სადებინფორმაციო კამპანიის მთავარი პლატფორმა საქართველოში „ალტ-ინფო“, რომელიც საგანგებო ეთერით აშუქებს უკრაინაში მიმდინარე ომს. მაღალი ონლაინ ინტერაქციიდან გამომდინარე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ აღნიშნული მედია პლატფორმა იწვევს.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგს, რომელშიც გაანალიზებულია 2022 წლის მარტი-აპრილის პერიოდში რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე დებინფორმაციის გამავრცელებელი ულტრამემარჯვენე მედია საშუალებების გზავნილები და შესწავლილია მათი მანიპულაციური დისკურსის ძირითადი ტენდენციები. საანგარიშო პერიოდში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სოციალურ და ონლაინ მედიაში გავრცელებული პროპაგანდისტული შინაარსის მქონე 475 შემთხვევა გაანალიზა. უკრაინის ხელისუფლების მადისკრედიტირებელი და დებინფორმაციული კამპანია აქტიურად მიმდინარეობდა „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებულ ფეისბუქ-გვერდებზე: [„კონსერვატორი ქალები“](#), [„კონსერვატიული მოძრაობა-ლაგოდების ორგანიზაცია“](#) და [„კონსერვატორი არის აქ“](#).

საანგარიშო პერიოდში ერთგვარ ტენდენციად ჩამოყალიბდა „ქართული ოცნების“ და „ალტ-ინფოს“ ერთმანეთის მსგავსი განცხადებები, როდესაც საქმე უკრაინის ხელისუფლების დისკრედიტაციას ეხება. „ალტ-ინფოს“ წამყვანებმა საქართველოს ხელისუფლებას მხარდაჭერა გამოუცხადეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან არ შეერთების გამო. „ალტ-ინფომ“ „ნაციონალური მოძრაობა“ დაადანაშაულა პროვოკაციულ ქმედებებსა და საქართველოში ომის პროვოცირების მცდელობაში უკრაინელი ლობისტების ჩართულობით.

„ალტ-ინფოს“ და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა იდენტური იყო უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის ოლექსი არესტოვიჩის წინააღმდეგაც. 30 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა [ირაკლი ღარიბაშვილმა](#) უარყოფით კონტექსტში მიმოიხილა არესტოვიჩის [კრიტიკული განცხადებები](#) საქართველოს პოლიტიკური კურსის მიმართ და „აბსურდული“ უწოდა მის შეფასებებს. თავის მხრივ, [„ალტ-ინფოს“](#) გუნდმა არესტოვიჩს ბრალი დასდო პროვოკაციულ ქმედებებსა და საქართველოსთან ურთიერთობების დაძაბვაში. „ალტ-ინფოს“ წამყვანებმა სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოხატეს „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის მიმართ, როდესაც მედიაში მისი და სანქცირებული რუსი ოლიგარქის ვლადიმერ ევტუშენკოვის სავარაუდო საუბრის [აუდიო-ჩანაწერები](#) გავრცელდა. ჩანაწერების თანახმად, საქართველოში ევტუშენკოვის წარმომადგენელსა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის შეხვედრა შედგა. „ალტ-ინფოს“ გუნდი ამ ინფორმაციას მიესალმა და ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების ნაცვლად, რუსეთთან სავაჭრო თუ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების გააქტიურება მოითხოვა.

საანგარიშო პერიოდში „ალტ-ინფოს“ რიტორიკაში ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა. ერთი მხრივ, შესამჩნევი იყო რუსეთ-უკრაინის ომში რუსეთის პირდაპირი

მხარდაჭერა და უკრაინის დისკრედიტაციის მცდელობა, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი აქცენტები კეთდებოდა ანტიდასავლური და ანტი-ნატო ნარატივების გავრცელებაზე. უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას, „ალტ-ინფო“ წამყვანები, რომლებიც ამავე დროს ღიად პროკრემლისტური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები არიან, აქტიურად აკეთებდნენ რუსეთის მხარდამჭერ განცხადებებს, ახდენდნენ კრემლის აგრესიული სამხედრო ინტერვენციის ნორმალიზაციას და ავრცელებდნენ დეზინფორმაციას უკრაინის წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ 2022 წლის 24 მარტს საქართველოს კომუნიკაციების კომისიამ „ალტ-ინფო“ საქმიანობაში ომის პროპაგანდის ნიშნები [დაინახა](#) და განაცხადა, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება მაუწყებლობის შესახებ კანონის პრინციპებს.

„ალტ-ინფო“ სარედაქციო პოლიტიკაში უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე განსაკუთრებით შესამჩნევია ანტიდასავლური რიტორიკის გააქტიურებაც. „ალტ-ინფო“ ყოველმხრივ ცდილობს საზოგადოებაში ნატოს წინააღმდეგ სკეპტიკური განწყობები გააღვივოს და დასავლეთისგან სრული დისტანცირების საჭიროების საილუსტრაციოდ უკრაინის კრიზისს იყენებს. მათი დეზინფორმაციული ნარატივები პირდაპირ თანხვედრაშია კრემლისტური მედია საშუალებების გზავნილებთან.

ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალები საქართველოში საკუთარ სოციალურ და ონლაინ მედია პლატფორმებს მცდარი საზოგადოებრივი განწყობების ჩამოსაყალიბებლად იყენებენ. ისინი ცდილობენ დაამკვიდრონ აზრი, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყება უკრაინის ხელისუფლების პროვოცირებულია, დასავლური ძალების წაქეზებით. ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილი ლიდერები უარყოფენ რუსეთის მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის ფაქტებს და ომის შედეგებზე სრულ მორალურ პასუხისმგებლობას უკრაინის ხელისუფლებას აკისრებენ.

საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე, ღიად პრორუსული ძალები იმეორებენ კრემლისტურ რიტორიკას, რომლის მკაფიო მიზანი რუსეთისთვის მორალური სახის შენარჩუნებაა. გარდა ამისა, უკრაინის ხელისუფლების დაკნინებით, აქტიურად ცდილობენ რუსეთის სამხედრო უპირატესობის დემონსტრირებას.

1. „ალტ ინფო“ პრორუსული დისკურსი და ანტიდასავლური გზავნილები

ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმა „ალტ-ინფო“ რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ღიად ატარებს პროკრემლისტურ დისკურსს, რომელშიც ცალსახად შეიმჩნევა რუსეთის მიერ ჩადენილი ომის დანაშაულების გამართლების ან უარყოფის მცდელობები. „ალტ-ინფო“ ეთერში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს პრორუსული, პროპაგანდისტული მედია კამპანია, რომლის თანახმადაც, ომის მაპროვოცირებელ ძალად წარმოჩენილია დასავლეთი. გარდა ამისა, „ალტ ინფო“ წამყვანები ცდილობენ, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ხაზი გაუსვან საქართველოს რუსეთთან დაახლოებისა და პირდაპირი დიალოგის აუცილებლობას, როგორც ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზას. მედია მონიტორინგის პერიოდში „ალტ-ინფო“ მიერ გაჟღერებული რამდენიმე ძირითადი გზავნილი გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ეს არის რუსეთის

მხარდამჭერი მოწოდებები და მისი სამხედრო პოტენციალის გაიდვალება, ხოლო მეორე მხრივ, უკრაინის დემონიზებისა და ანტიდასავლური განწყობების გაღვივების მცდელობები.

N1 გზავნილი - რუსეთი, თავს არ ესხმის მშვიდობიან მოსახლეობას და არ ბომბავს დასახლებულ პუნქტებს

22 თებერვალს, სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე, კრემლის დეზინფორმაციული მედია კამპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და რუსული RT-ის მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა Россия 1-ის ეთერში გადაცემა „სადამოვლადიმირ სოლოვიოვთან“ [აღნიშნა](#), რომ „რუსული არმია მშვიდობიან მოსახლეობას საფრთხეს არ უქმნის.“

„ალტ-ინფოს“ გზავნილები, თავის მხრივ, სიტყვა-სიტყვით იმეორებს კრემლის პროპაგანდისტულ ნარატივს. შესაბამისად, ომის ფონზე წარმოებულ დეზინფორმაციულ მედია კამპანიაში „ალტ-ინფოს“ ამოცანას წარმოადგენს რუსეთისთვის მორალური სახის შენარჩუნება და მისი წარმოჩენა ჰუმანურ მხარედ.

19 მარტს გადაცემა „ალტ ანალიტიკაში“, „ალტ-ინფოს“ წამყვანმა და პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა შოთა მარტინენკომ [გააჟღერა](#) დეზინფორმაცია, რომლის თანახმადაც, რუსეთი აქტიურად არ ბომბავს დასახლებულ პუნქტებს, ვინაიდან ერიდება ხალხის დახოცვას, რაც მორალურად სწორი ნაბიჯია, თუმცა სამხედრო თვალსაზრისით შეცდომაა. [აღნიშნული გზავნილი სიცრუეა](#). გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის 22 მარტის [განცხადების](#) თანახმად, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმას რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. სამხედრო იერიშები უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში მდებარე არაერთ [საავადმყოფოზე](#), [თეატრსა](#) და [სკოლაზე](#) განხორციელდა.

22 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემა [დღის კომენტარში](#) მოწვეულმა სტუმარმა გურამ ფალავანდიშვილმა, რომელიც ულტრამემარჯვენე განწყობებით გამორჩეულ ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ხელმძღვანელია, განაცხადა, რომ „მიუხედავად დიდი შეტევისა, პუტინი მაქსიმალურად ცდილობს აწარმოოს ჰუმანური ომი. მან გასცა ბრძანება, რომ „აზოვსტალში“ არ დაარბიონ ბუნკერები, სადაც ქალები და ბავშვები იმყოფებიან“.

კრემლის პროპაგანდისტული რიტორიკა, რომლის მთავარი შემოქმედი რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი [დიმიტრი პესკოვია](#), უკრაინის ხელისუფლებას მშვიდობიანი მოსახლეობის ცოცხალ ფარად გამოყენებაში სდებს ბრალს. იდენტური გზავნილი აქვს „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელ კონსტანტინე მორგომიასაც. 21 აპრილს, გადაცემა „დღის კომენტარში“ მორგომიამ [განაცხადა](#), რომ „აზოვის ბატალიონი“ საზარბაზნე ხორცად იყენებს ქალებს და ბავშვებს. „*მე არ წარმომიდგენია, როგორ უნდა იამაყო აზოვის ბატალიონით, რომლებიც ჩვეულებრივი სადისტები არიან და სარდაფებში მყოფ ქალებს და ბავშვებს იყენებენ, რათა მათ წინააღმდეგ რუსეთმა იარაღი არ გამოიყენოს. ყველამ ვიცით, რომ მოსახლეობა საკუთარი ნებით არ იმყოფება ამ სარდაფებში და მათ იყენებენ საზარბაზნე ხორცად*“.

30 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში [„დღის კომენტარი“](#) პრიმაკოვის ფონდის“ ხელმძღვანელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ვრცლად ისაუბრა მიმდინარე რუსეთ-უკრაინის

ომზე. მან ძირითადი აქცენტები გააკეთა „აზოვსტალის“ ქარხნის მძიმე მდგომარეობასა და ჰუმანიტარულ კრიზისზე. დიმიტრი ლორთქიფანიძემ ბუჩაში და ირპენში ჩადენილი ომის დანაშაულები და აზოვსტალში არსებული უმძიმესი ჰუმანიტარული კრიზისი შეაფასა, როგორც წინასწარ დადგმული სცენარი, რომლის თანახმადაც, რუსეთს უნდა მინიჭებოდა კაცობრიობის წინაშე მძიმე დანაშაულების ჩამდენის „იარლიყი.“ ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ „აზოვსტალში“ რუსეთმა უსაფრთხოების ყველანაირი პირობა შეუქმნა ადამიანებს ტყვედ ჩაბარების შემთხვევაში. *„აზოვსტალის“ გვერდით არის ქარხანა „ილიჩი“, სადაც ათასობით საზღვაო ქვეითი იყო განთავსებული, რომელთა უმეტესობაც ტყვედ ჩაბარდა და ამისთვის რუსეთის მხრიდან ყველანაირი პირობა იყო შექმნილი. შესაბამისად, რა მიზეზები უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ დაჭრილებისთვის, მშვიდობიანი მოსახლეობისა და მოხუცებისთვის არ გაიხსნას „საევაკუაციო დერეფანი“.*

გზავნილი N2 - რუსეთის სამხედრო უპირატესობა აშკარაა და ომში უკრაინა დამარცხდება

„ალტ-ინფოს“ წამყვანები ცდილობენ გაავრცელონ მოსაზრება, რომ რუსული არმია უძლეველია და უკრაინაში მისი სამხედრო ოპერაციები წარმატებულია. მათი განცხადებით, რუსეთი მოქმედებს სწორი სტრატეგიით და მისი სამხედრო პოტენციალიც უსაზღვროა. ამ მხრივ საგულისხმოა 24 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემა „ალტერნატიული ხედვაში“ პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერის შოთა მარტინენკოს [განცხადება](#): *„სულ ასე რომ გაჩერდეს ომი, როგორც ახლა არის, რუსეთმა უკვე გაიმარჯვა. ორი საქართველოს ხელა ტერიტორია აქვს უკრაინისთვის წართმეული და თუ რუსეთი აგებს ომს, რატომ არ აცხადებს პანიკურად მოსახლეობის მობილიზაციას? თუ რუსეთი აგებს ომს, როგორ აიღო ქალაქი მარიუპოლი? და რანაირად აქვს რუსეთის ჯარს ყოველდღიური წინსვლა?“* მან გადაცემაში ლიბერალების დეზინფორმაცია უწოდა ამ ომში უკრაინული ძალების წარმატებას და რუსეთის მარცხს.

23 აპრილის [„ალტ ანალიტიკაში“](#) რუსეთ-უკრაინის ომი მიმოიხილა „ალტ-ინფოს“ წამყვანმა და პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ გიორგი ქარდავამ. მისი განცხადებით, 2 თვის მანძილზე რუსეთი ყოველდღიურ რეჟიმში ათეულობით სამხედრო დარტყმას აყენებს უკრაინას. ქარდავას შეფასებით, განუსაზღვრელია რუსეთის საავიაციო და სამხედრო პოტენციალიც. უკრაინული ჯარის დისკრედიტაციის მიზნით, ქარდავამ გადაცემის ეთერში აჩვენა [ვიდეო](#), რომელიც მისი თქმით, ადასტურებდა დონბასში უკრაინული ჯარის სავალალო მდგომარეობას და ფრონტის ხაზიდან ჯარისკაცების გაქცევის ფაქტებს.

13 აპრილს რუსეთის „მაღალ სამხედრო პოტენციალზე“ ისაუბრა „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელმა კონსტანტინე მორგოშიამ გადაცემაში [„დღის კომენტარი“](#). მან ომზე სრული პასუხისმგებლობა პრეზიდენტ ზელენსკისა და მის გუნდს დააკისრა. ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის სამხედრო რესურსი საკმაოდ დიდი და ეფექტურია. *„რუსეთმა 45 დღეში დაიკავა უკრაინის იმხელა ტერიტორია, რამხელაც არის დიდი ბრიტანეთი. სწორედ ეს მოხდა რეალურად, რუსეთს იმხელა რესურსი აქვს, რომ დანაკარგების მიუხედავად, თავის საქმეს მაინც ბოლომდე მიიყვანს. აქ პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ რატომ მიიყვანა პრეზიდენტმა ზელენსკიმ და მისმა სასაცილო მთავრობამ უკრაინელი ხალხი ამ დღემდე.“*

კონსტანტინე მორგოშია საკუთარ აზრს რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით აჯამებს ფეისბუქ [პოსტშიც](#). სადაც აღნიშნავს, რომ „სცენარი შეიძლება სხვადასხვანაირად განვითარდეს, მაგრამ 100% მოხდება დე-ენ-ერ-ის და ელ-ენ-ერ-ის ტერიტორიების სრული დაკავება, ანუ მარიუპოლის ჩათვლით. ხარკოვსაც, სავარაუდოდ აიღებენ რუსები. ასევე, არც მელიტოპოლიდან და ხერსონიდან არ გამოვლენ არასდროს. ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ უკრაინა 100%-ით დაკარგავს ყველაზე დიდ სამრეწველო ზონებს და აზოვის ზღვას.“

კოკა მორგოშია
11 April at 00:19 · 🌐

ხშირად მეკითხებიან, როგორ დამთავრდება რუსეთ - უკრაინის ომი ... !
ნუ ცხადია ამაზე, ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. მაგრამ მე მაინც ჩემს ანალიტიკას დავდებ და ვნხობ რა მოხდება.
🇷🇺 🇺🇦 🇵🇱

პირველი ისაა, რომ საწყის ეტაპზე ოროვე მხარე შეცდა ... ანუ უკრაინას არ ეგონა, რომ რუსეთი ესე მასიურად და ყველა მხრიდან შეუტევდა. უკრაინაში ბევრს ჯეროდა, რომ სანქციები რუსეთის ფედერაციას ჩამოაწვდებოდა. რაც არ გამართლდა. ანუ ამ შემთხვევაში უკრაინის პრობლემა კიდევ ისაა, რომ 100%-ითაც რომ ცოდნოდან ყველაფერი მაინც მათ მაგივრად, ომის დაწყება არ დაწყების გადაწყვეტილებას აშშ მიიღებდა 🇺🇸 ანუ ყველაზე დიდი და ტრაგიკული შეცდომა უკრაინელების ის არის, რომ ზელინსკის და ბაიდენის ... ბინძურ თამაშებს ვერ აღუდგნენ წინ. !



გზავნილი N3 - დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები არაეფექტიანია

რუსეთის ეკონომიკა სამხედრო მოქმედებების ჭრილში შეაფასა „ალტ-ინფოს“ წამყვანმა ირაკლი მარტინენკომ და აღნიშნა, რომ რუსეთს დიდი ფინანსური ზარალი არ აქვს. 22 აპრილის [გადაცემაში](#) „ალტერნატიული ხედვა“ მარტინენკომ რუსეთ-უკრაინის ომი ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების ჭრილში მიმოიხილა და აღნიშნა, რომ დასავლური სანქციები რუსეთისთვის შემაფერხებელი ფაქტორი არ არის. „ისე კი არ დგას საკითხი რუსეთისთვის, რომ სანქციებით დაიღალა და მეტი აღარ შეუძლია. ის არ შეწყვეტს ომს. ამერიკა და რუსეთი, ორივე აცნობიერებს, რომ უკრაინაში საჩქარო არაფერია. დასავლეთი ეცდება რუსეთისგან შესყიდვები შეამციროს, თუმცა რუსეთს უკვე დაწესებული აქვს ამ სანქციების გვერდის ავლის მიზნით ალტერნატიული გზების ძიება.“

ორი დღის შემდეგ, 24 აპრილს გადაცემაში „ალტ ანალიტიკა“ მარტინენკომ [განაცხადა](#), რომ რუსეთი არის „თვითკმარი“ ქვეყანა, რომელსაც გააჩნია დიდი ბუნებრივი რესურსები და უნარი თავადვე აწარმოოს საკვები, როგორც საკუთარი თავის გამოსაკვებად, ასევე სხვა ქვეყნებში გასაყიდადაც. „აშშ-ს სურვილი, რომ რუსეთში მოსახლეობა აჯანყდებოდა, არ გამართლდა და პირიქით, მოსახლეობის განწყობაა, რომ ქვეყანამ თავისი საქმე ბოლომდე მიიყვანოს. რუსეთს აქვს ნავთობი და გაზი და შესაბამისად, კვლავ გააგრძელებს წარმოებას.“

30 აპრილს [„დღის კომენტარში“](#) „კონსერვატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრი ირაკლი მორგოშია რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ რუსეთი ენერგო რესურსების მთავარი მიმწოდებელია ევროპისთვის და შესაბამისად, მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები კრიზისს გამოიწვევს როგორც საქართველოში, ასევე, ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ირაკლი მორგოშიამ აქცენტი გააკეთა იმ ზიანზეც, რომელიც ამ სანქციების შედეგად რუსეთს ადგება, თუმცა დასძინა, რომ ეს ვერ იქნება მთავარი ბერკეტი

ომის შესაჩერებლად. „სანქციები ზიანს აყენებს რუსეთს, მაგრამ ამით ომი ვერ შეწყდება. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი ენერგორესურსების მთავარი მიმწოდებელია ევროპაში და თუ ეს ომი გაგრძელდება და სანქციებიც გამკაცრდება, ეს კრიზისი ჩვენც შეგვეხება.“

„ალტ-ინფოს“ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მინერალური და მტკნარი წყლების მწარმოებელი კომპანია IDS ბორჯომი, რომელსაც რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მიზეზით მოუწია წარმოების შეჩერება. კომპანიის საკონტროლო 60%-იან პაკეტს ერთ-ერთი უმსხვილესი რუსული კერძო საინვესტიციო ჰოლდინგი „ალფა ჯგუფი“ ფლობს. 29 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში [„ალტერნატიული ხედვა“](#) პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა და „ალტ-ინფოს“ წამყვანმა შოთა მარტინენკომ ხაზი გაუსვა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობას. მისი განცხადებით, უკრაინის გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოებრიობა განადგურდება. „რა თქმა უნდა, ეს კოლოსალური პრობლემაა. მარტო ბორჯომი არა, ზოგადად, ასეთი პრობლემები სხვა კომპანიებსაც შეექმნება. გამოსავალი, გარდა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით ჩვენი ეკონომიკური მდგრადობის გაზრდისა, ფაქტობრივად, არ არსებობს.“

„ალტ-ინფოს“ წამყვანები პრობლემას ვერ ხედავენ სანქცირებულ რუს ოლიგარქებთან კომუნიკაციაში. უფრო მეტიც, ისინი უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას მეტად გააქტიურდეს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით. ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმას ყურადღების მიღმა არ დარჩენია მედიაში გავრცელებული [აუდიო ჩანაწერი](#), სადაც სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილისა და სანქცირებული რუსი ოლიგარქის ვლადიმერ ევტუშენკოვის საუბრებია ასახული. ჩანაწერების თანახმად, რომლის ავთენტურობა დადასტურებული არ არის, ევტუშენკოვის წარმომადგენელი ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობით საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა. აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით ოპოზიციურმა ძალებმა დღის წესრიგში „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაკისრების საკითხი დააყენეს.

26 აპრილს გადაცემაში [„ალტერნატიული ხედვა“](#) წამყვანმა და პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ გიორგი ქარდავამ განაცხადა, რომ შეუძლებელია ამ ჩანაწერს მოჰყვეს პერსონალური სანქციები. მისი აზრით, ოპოზიციის მოთხოვნა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების ამოქმედების თაობაზე, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილით იყო განპირობებული. „მეორე საკითხია „ნაციონალური მოძრაობისა“ და ლიბერალური ოპოზიციის სახე. ისინი სიამოვნებით მოაწერენ ხელს, არა მარტო ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციებს, არამედ საქართველოს წინააღმდეგაც, ოღონდ აქ ცხოვრების დონე დაეცეს, ხალხს გაუჭირდეს, სოციალური აფეთქება მოხდეს და ამ ყველაფრით სპეკულაცია მოახდინონ და უკმაყოფილების ტალღაზე ხელისუფლებაში დაბრუნდნენ“, - განაცხადა გიორგი ქარდავამ. ამავე გადაცემაში ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა „ალტ-ინფოს“ კიდევ ერთმა წამყვანმა შოთა მარტინენკომ. მან დადებითად შეაფასა სანქცირებულ, რუს ბიზნესმენტთან მოლაპარაკების მცდელობა და მისი წარმომადგენლის საქართველოში ვიზიტს ეკონომიკური სარგებლის მოტანის შესაძლებლობა უწოდა. „რუს ბიზნესმენტს რომ ელაპარაკება ივანიშვილი, მაგაში პრობლემა არ არსებობს. საჭიროც არის, მასე უნდა ილაპარაკონ აუცილებლად და კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ. მათ შორის, არა მხოლოდ კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, არამედ იმ

მიზნითაც, რომ ჩვენმა ქვეყანამ ნახოს ეკონომიკური სარგებელი“; - განაცხადა [შოთა მარტინენკომ](#).

გზავნილი N4 - უკრაინა თავად ვაჭრობს რუსეთთან, შესაბამისად, მისი პრეტენზიები საქართველოს მიმართ დაუშვებელია

„ალტ-ინფოს“ წამყვანებისა და „ქართული ოცნების“ რიტორიკა იდენტურია, როდესაც საქმე უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების კრიტიკული განცხადებების შეფასებას ეხება. როგორც წესი, კომენტარები მსგავსია უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველთან ოლექსი არესტოვიჩთან დაკავშირებით. 30 აპრილს, საქართველოს პრემიერ მინისტრმა [ირაკლი ღარიბაშვილმა](#) უარყოფით კონტექსტში ახსენა არესტოვიჩის [კრიტიკული განცხადებები](#) საქართველოს ხელისუფლების მიმართ და აღნიშნა, რომ *„არესტოვიჩი თავად არის შეურაცხმყოფელი და მსგავსი აბსურდული შეფასებებით ზიანდება ურთიერთობები უკრაინელ ხალხთან“*. ოლექსი არესტოვიჩის კრიტიკული განცხადებები საქართველოს ხელისუფლების მისამართით ყურადღების მიღმა არც „ალტ-ინფოს“ გუნდს დარჩენია. 29 აპრილს გადაცემაში [„ალტერნატიული ხედვა“](#), წამყვანმა შოთა მარტინენკომ მას „ამერიკის აგენტი“ უწოდა და საქართველო-უკრაინას შორის ურთიერთდაპირისპირების გაღვივებაში დასდო ბრალი. მარტინენკომ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა მეტად „დაძაბოს“ განცხადებები უკრაინის ხელისუფლებისადმი და ღიად ილაპარაკოს იმაზე, რომ ეს არის „საქართველოს ომში შეთრევის მცდელობა“.

„ალტ-ინფოს“ გუნდის და „ქართული ოცნების“ რიტორიკა უკრაინის ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებით აგრესიული უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს [განცხადების](#) შემდეგ გახდა, რომლის მიხედვითაც, რუსეთი სანქცირებული პროდუქციის ქვეყანაში შეტანას საქართველოს დახმარებით გეგმავს. პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ [„აბსურდული“](#) და [„ჰაერიდან მოტანილი“](#) უწოდა უკრაინული დაზვერვის ბრალდებას, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა რატი იონათამიშვილმა უკრაინული დაზვერვის განცხადება [მოიხსენია](#), როგორც „ცილისმწამებლური, ნამდვილად არამეგობრული და ბინძური პროვოკაცია“. ხელისუფლების მხარდამჭერი რიტორიკა იკითხება აღნიშნულ საკითხზე „ალტ-ინფოს“ მიერ აგორებულ კამპანიაში. პარტია „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ გენერალურმა მდივანმა გიორგი ქარდავამ 7 აპრილს გადაცემა [„ალტერნატიულ ხედვაში“](#) გაავრცელა მანიპულაციური შინაარსის ინფორმაცია, უკრაინიდან ევროპაში რუსული გაზის ტრანზიტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უკრაინის ხელისუფლების პრეტენზიები საქართველოს მიმართ დაუშვებელია, როდესაც თავად რუსეთის გაზით ვაჭრობს. ამ განცხადებით ქარდავამ უკრაინის დისკრედიტაცია სცადა და მისი ხელისუფლება პირდაპირ დაადანაშაულა რუსული ფულით საკუთარი ხალხის დაბომბვაში. *„თვითონ გაზს არ კეტავენ, ეს მაიმუნები ესენი... უკრაინა ვაჭრობს გაზით, მაგ გაზიდან შემოტანილი ფულით ისევ უკრაინას ბომბავს რუსეთი, ზელენსკის ომიც არ გამოუცხადებია და ჩვენს მიმართ აქვთ პრეტენზიები“*.

გიორგი ქარდავას განცხადება მანიპულაციური შინაარსისაა და ემსახურება უკრაინის ხელისუფლების დისკრედიტაციას. უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის [ინფორმაციით](#), ქვეყნის მთავარი მისიაა შეინარჩუნოს პარტნიორული ურთიერთობები დასავლეთთან და სწორედ ამ მიზეზით ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას ომის მსვლელობის პროცესშიც,

რაც გულისხმობს ევროპისთვის გაზის მიწოდებას სხვადასხვა კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერის გიორგი ქარდავას მანიპულაციური განცხადების მსგავსი ნარატივები მასშტაბურად გავრცელდა ფეისბუქ გვერდებზე: [„კონსერვატორი ქალები“](#), [„კონსერვატიული მოძრაობა-ლაგოდენის ორგანიზაცია“](#) და [„კონსერვატორი არის აქ“](#).



გზავნილი N5 - დასავლეთს საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნა სურს

უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და სამხედრო თავდასხმების პარალელურად, „ალტ-ინფოს“ წამყვანები სხვადასხვა გადაცემების ფორმატში ავრცელებენ ნარატივს, რომ კოლექტიურ დასავლეთს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურს. ამ გზავნილის მიზანია საქართველოს მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, ირაციონალური შიშების დანერგვა და რუსეთთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების აუცილებლობის დემონსტრირება. „ალტ-ინფოს“ გუნდი ცდილობს უკრაინის კრიზისი გამოიყენოს იმის საჩვენებლად, რომ თითქოს საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტორი რუსეთია. გარდა ამისა, [„ქართული ოცნების“](#) წარმომადგენლების მსგავსად, „ალტ-ინფოს“ გუნდიც ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციას და მის წარმოჩენას „ომის პარტიად“, რომლის ერთადერთი სურვილიც საქართველოს ომში ჩაბმვაა.

30 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში [„ალტ ანალიტიკა“](#), წამყვანმა ირაკლი მარტინენკომ ბრალი დასდო უკრაინის ხელისუფლებას მტრულ დამოკიდებულებებში და გააჟღერა სამთავრობო ნარატივი, რომლის თანახმადაც *„ნაციონალურ მოძრაობას“ უკრაინის ხელისუფლება მოიაზრებდა საბრძოლო ინსტრუმენტად, რუსეთის წინააღმდეგ. „უკრაინაში ომი რომ დაიწყო, უკრაინის ხელისუფლება პირდაპირ ერთმანეთში ლაპარაკობდა, რომ სააკაშვილის მთავრობა რომ ყოფილიყო ომი იქნებოდა საქართველოში, ხოლო ამ მთავრობას (ქართულ ოცნებას) ეძახიან კურდღლებს. ეს არის რეალობა, უკრაინის ხელისუფლებას გაბოროტებული პოზიცია აქვს საქართველოს მთავრობისადმი.“*

29 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემა [„დღის კომენტარში“](#) მიწვეულმა სტუმარმა, პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბალატურამ რუსეთ-უკრაინის ომი მიმოიხილა და აღნიშნა, რომ კონფლიქტში საქართველოს ჩართვა, ნებისმიერი ფორმით, დაუშვებელია. მისი განცხადებით, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა თითქოსდა დასავლეთის

ინტერესებშია. „არის ასეთი მოსაზრება, კოლექტიურ დასავლეთში და ე.წ. „ჩვენებში“, ქართული გვარები რომ აქვთ და სინამდვილეში კოლექტიური დასავლეთის ჩინოვნიკები რომ არიან და მათ ინტერესებს ემსახურებიან, რომ თუკი საქართველოში მოხდება მეორე ფრონტის გახსნა, მოხდება რუსეთის სამხედრო და ფინანსური ძალების გაფანტვა.“ ჯონდი ბალათურია ავითარებს თავის მსჯელობას და აღნიშნავს, რომ „მეორე ფრონტის“ გახსნა ავტომატურად გამოიწვევს რუსეთის თავდასხმას საქართველოზე, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვება ქვეყნისთვის. „რა გაფანტვა უნდა გამოიწვიოს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნამ?! აქ არმიის შემოყვანაც არ დაჭირდება რუსეთს, ჩრდილო კავკასიაში განლაგებული რომელიმე ბაზიდან გამოისვრიან ისკანდერს, დაიბომბება თბილისი. მივიღებთ უამრავ დახოცილს, განადგურებულ ეკონომიკას, დამატებით კიდევ დაგვარგავთ ტერიტორიებს, სულ თუ არ დაგვარგეთ სახელმწიფო.“

საქართველოში ომის და „მეორე ფრონტის“ გახსნის სურვილთან დაკავშირებული ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატიმრობიდან განთავისუფლების მოთხოვნა პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრმა და „ალტ-ინფოს“ წამყვანმა ირაკლი მარტინენკომ. 29 აპრილს გადაცემა [„ალტერნატიულ ხედვაში“](#) მან განაცხადა, რომ „რა თქმა უნდა, სააკაშვილის განთავისუფლება ნიშნავს იმას, რომ საქართველომ მეტი პოლიტიკა აწარმოოს მეორე ფრონტის გასახსნელად, ანუ ხელისუფლებაში მოსვლა არ არის სააკაშვილისთვის საჭირო, უბრალოდ, მისი განთავისუფლებაც რეალურად მაგისკენ გადადგმული ნაბიჯია.“ აღნიშნულ გადაცემაში ირაკლი მარტინენკომ ბრალი დასდო დასავლეთს საქართველოს რუსეთ-უკრაინის ომში ჩაბმის მცდელობაში და ამ მიზნით ნაციონალური მოძრაობის გამოყენებაში. „ერთადერთი, რისთვისაც დასავლეთს საქართველო სჭირდება, რუსეთთან ომია, რის მიღწევასაც „ნაციონალური მოძრაობის“ საშუალებით ცდილობს, ეს უნდა გავაცნობიეროთ“.



21 აპრილს „ალტ ინფოს“ გადაცემა [„ალტერნატიულ ხედვაში“](#) წამყვანმა შოთა მარტინენკომ აღნიშნა, რომ დასავლური ძალები საქართველოზე ახორციელებენ ზეწოლას, რათა ქვეყანა „ომში ჩაითრიონ“. მისი თქმით, საქართველოს საზოგადოებას ამ ზეწოლაზე სწრაფი და მკაფიო რეაგირება უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოსთვის ომის თავიდან არიდება ვერ მოხდება. „დასავლეთი არის საქართველოზე ზეწოლის წყარო, რომელიც ცდილობს ჩვენს ომში ჩათრევას... ზეწოლის პასუხად ქართული საზოგადოების მხრიდან უნდა მოხდეს მრისხანება. რის გამო ხდება ეს ზეწოლა? იმიტომ, რომ ომში ჩაგვაბან“.

2. ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალების დიად პრორუსული დისკურსი რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის ფონზე, თვალშისაცემია საქართველოში დიად პრორუსული და ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილი პოლიტიკური ძალების გააქტიურება რუსეთთან ურთიერთთანამშრომლობის „გაღრმავების“ მიმართულებით.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“


2022 წლის 4 აპრილს რუსეთის მიერ უკრაინაზე სრულმასშტაბიანი თავდასხმის დაწყებიდან თვენახევრის შემდეგ, პოლიტიკური პარტიის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა ოფიციალური შეხვედრა გამართეს რუსეთში ფედერალური ასამბლეის ფედერაციის საბჭოს წარმომადგენლებთან. მათთან ერთად რუსეთში ვიზიტით იმყოფებოდა ორგანიზაცია „რუსეთის ჯავახკური დიასპორის“ პრეზიდენტი აგასი არაბიანი. მან 5 აპრილს თავისი ტვიტერის ანგარიშზე გამოაქვეყნა [პოსტი](#) ვიზიტის შესახებ, სადაც აღნიშნა, რომ შეხვედრის მიზანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესება და საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება იყო. შეხვედრას რუსეთის მხრიდან ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმირ ჯაბაროვი და ამავე კომიტეტის წარმომადგენელ მიხეილ სინიცინი ესწრებოდნენ.



„პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გავრცელდა რუსეთის [ფედერალური საბჭოს](#) ვებგვერდზე. საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, დავით თარხან-მოურავმა რუს კოლეგებს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ საქმიანობა გააცნო და აღნიშნა, რომ პარტია საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ნეიტრალიტეტს უჭერს მხარს. შეხვედრაზე „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა რუსეთ-საქართველოს ორმხრივი, მომგებიანი კავშირების შენარჩუნების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. თავის მხრივ, ვლადიმირ ჯაბაროვმა [განაცხადა](#) - *„ჩვენს ქვეყნებს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში უამრავი ადამიანია, ვინც რუსეთთან კონტაქტების გაფართოების მომხრეა“*.


აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება ამ დრომდე არ გაუკეთებია „პატრიოტთა ალიანსს“. პარტიის ლიდერი [ირმა ინაშვილი](#) ზოგადი შინაარსის ფეისბუქ

პოსტით შემოიფარგლა, სადაც აღნიშნა, რომ „გერმანიის კანცლერი შოლცი რუსეთში ჩავიდა კიდევ. პუტინს ტელეფონით მუდმივად ესაუბრება. ისევე, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი. მათ პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ. ჩვენც უნდა ვესაუბროთ რუსეთს ნეიტრალიტეტზე, მშვიდობაზე... და მტრობა და ომი რომ არ გვინდა, ამაზეც. და სწორედ ახლა უნდა ველაპარაკოთ, შოლცის და მაკრონის პარალელურად, რომ ომს და უბედურებას ავცდეთ“. ირმა ინაშვილი საკუთარ ფეისბუქ გვერდზე აქტიურად ამტკიცებს იმასაც, რომ საქართველოს ერთადერთი ხსნა ნეიტრალიტეტის გამოცხადებასა და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობაშია. ამ მოსაზრების პარალელურად, ის ღიად ავრცელებს ანტიდასავლურ განცხადებებს და უკრაინის ხელისუფლების დისკრედიტაციას ეწევა.



ირმა ინაშვილი
7 April at 22:37 · 🌐

მაოცებს კახი კალაძის კომენტარი. მეგობარი ქვეყანა ომშია და ნეიტრალიტეტზე ამიტომ, თურმე, არ უნდა ვილაპარაკოთ. ამ დროს მეგობარი ქვეყანა ნეიტრალიტეტსაც იხვეწება და პუტინთან შეხვედრასაც. ეს მეგობარი ქვეყანა ომში გითრევს და რით ვერ გაიგეთ, რომ ზელენსკი სააკაშვილის მეგობარია, არც საქართველოს და არც თავად უკრაინის მეგობარი არ არის. ვიმეორებ: ორი თვის წინ რონ დაუწყო ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი, თავის ქვეყანას ომს ააცილებდა.



ირმა ინაშვილი
6 April at 22:01 · 🌐

ომი საშინელებაა. ომი ტრაგედიაა. ომში, როგორც წესი, ჩვეულებრივი, მშვიდობიანი მოსახლეობა ზიანდება. ისევე ვამბობ: შეძრული და დამწუხრებული ვართ, უკრაინის ტრაგედიის გამო და ისევე ვიმეორებ: არავითარ შემთხვევაში იგივე ტრაგედია არ უნდა განმეორდეს საქართველოში.

ფაქტია, რომ უკრაინის ხელისუფლებამ ვერ გამოავლინა თავი საქართველოს მეგობრად. ყოველდღიურად ვხედავთ მცდელობას, რომ საქართველო როგორმე ჩაებას რუსეთთან კონფლიქტში. ზელენსკის ხელისუფლების მხრიდან იმგვარი განცხადებები კეთდება, რომ ეს არც მეგობრულია, არც პარტიზორული, არც კორექტული და არც ობიექტური. რა კონტრაბანდული იარაღი?! ხომ ყველას ესმის, რომ საქართველოდან არაფერი მსგავსი არ ხდება! საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა,- ეს ჩვენი სახელმწიფოს შიდა საქმეებში უნებში ჩარევაა, რასაც აკეთებს უკრაინის მთავრობა. მეორე ფრონტი საქართველოზე არ უნდა გაიხსნას. ამას წინ უნდა აღვუდგეთ. მე სრულიად ვიზიარებ უნგრეთის ხელისუფლების პოზიციას. კონკრეტულად, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დღევანდელი განცხადების პაფოსს, რომ უნგრეთი იცავს მისი ხალხის ინტერესს და რომ უკრაინის ომი მათი ომი არაა.

დიმიტრი ლორთქიფანიძის „პრიმაკოვის ცენტრი“

მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ღიად პრორუსული „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ ხელმძღვანელი დიმიტრი ლორთქიფანიძე. მან 24 მარტს, მოსკოვში რუსეთის ხელისუფლების მიერ დაარსებული „გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდაჭერის ფონდისა“ და მასთან დაკავშირებული „პრიმაკოვის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარებულ შეხვედრას უხელმძღვანელა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ექსპერტები და პოლიტოლოგები რუსეთიდან და საქართველოდან. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს „გორჩაკოვის ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ლეონიდ დრაჩევსკიმ და დიმიტრი ლორთქიფანიძემ. პრიმაკოვის ცენტრის ოფიციალური განცხადების მიხედვით, შეხვედრის „მონაწილეები განიხილავენ არა მხოლოდ მიმდინარე რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, არამედ გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების, ეკონომიკის, სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების შენარჩუნების საკითხებს“. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის ფედერალური სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე გრიგორი კარასინიც, რომელმაც დადებითად შეაფასა საქართველოს ხელისუფლების უარი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან მიერთებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ განცხადება მტკივნეულად მიიღო უკრაინულმა მხარემ. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ოლეგ ნიკოლენკომ ტვიტერში 25 მარტს გამოქვეყნებული პოსტით, საქართველოს ხელისუფლებას მიმართა: „გრიგორი კარასინმა შეაქო საქართველო იმისთვის, რომ მან რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს მხარი არ დაუჭირა და მადლობის

გადახდას დაჰპირდა. თბილისო - იმის მერე, რაც რუსეთმა 2008 წლიდან გაგიკეთათ - არ გრცხვენიათ?”

24 მარტს რუსეთში გამართული შეხვედრა და მასში ქართული მხარის მონაწილეობა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად შეაფასა საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ. მისი განცხადებით, „საქართველოს სახელით იქ არავინ ყოფილა წარმოდგენილი და კერძო ინიციატივით ჩავიდა რამდენიმე ექსპერტი.“¹



Григорий Карасин о связях Грузии и России: «У наших отношений есть светлое будущее»

24.03.2022 956 0



ალტ-ინფოს „კონსერვატიული მოძრაობა“

14 მარტს ქართულ მედია [პლატფორმებზე](#) „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელმა და ულტრამემარჯვენე განწყობების მქონე პოლიტიკური პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ დააანონსა ინფორმაცია სრული შემადგენლობით რუსეთში ვიზიტთან დაკავშირებით². ვიზიტის მიზნად მორგოშიამ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დალაგება და გაღრმავება დაასახელა. „ჩვენ გვყურებენ, როგორც ადეკვატურ ხალხს, რომელიც რაციონალურად აზროვნებს და შეუძლია დააღავოს ორ ქვეყანას [საქართველო-რუსეთი] შორის ურთიერთობა.“ მორგოშიამ მედიის წარმომადგენლებს [დაუდასტურა](#), რომ მისი პარტიის დაფინანსების წყარო რუსეთში მოღვაწე ადამიანები იქნებიან. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ დრომდე³ „ალტ-ინფოს“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ ვიზიტი რუსეთში ჯერ არ განხორციელებულა, რასაც კონსტანტინე მორგოშია უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებით [ხსნის](#).

¹ ინტერპრესნიუსი, „გია ვოლსკი - საქართველო უკრაინის შემდეგ ყველაზე დიდი საფრთხის მქონე ქვეყანაა რუსეთის მხრიდან, იმის მიუხედავად, კარასინი გაგახარებთ თუ არა თავის განცხადებით - ჩვენ ვართ ნომერი პირველი სამიზნე, ეს გვახსოვდეს“, 25.03.2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3OKn57z>

² ნეტგაზეთი, „ალტ-ინფოს“ პარტია რუსეთში ვიზიტს „სრული შემადგენლობით“ გეგმავს“, 14.03.2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KI5dag>

³ 2022 წლის 30 აპრილის მდგომარეობით.

3. ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის“ ტრანსფორმაცია სამოქალაქო პროტესტის ფონზე

საანგარიშო პერიოდში ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ულტრამემარჯვენე „კონსერვატიული მოძრაობის“ მენეჯმენტში. [11 აპრილს](#) პარტიის თავმჯდომარე ზურა მახარაძე გიორგი ქარდავამ ჩაანაცვლა, რომელიც ცვლილებებამდე პარტიის გენერალური მდივანი იყო. საჯარო რეესტრისთვის წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ პარტიის გენერალური მდივნის პოზიციას ამჟამად შოთა მარტინენკო [იკავებს](#). შიდა საკადრო გადაადგილების გარდა, შეიცვალა პარტიის სახელიც. ამჟამად პარტიას „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ჰქვია.

26 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემა [„დღის კომენტარში“](#) ზურა მახარაძემ პარტიის თავმჯდომარეობიდან წასვლის მიზეზად მის პირად ცხოვრებაში არსებული სირთულეები დაასახელა. მან ასევე უარყო პარტიის შიგნით განხეთქილებისა და მისი მოსკოვში ჩასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და დასძინა, რომ 48 დღე მონასტერში გაატარა. 13 მარტს გამოქვეყნებულ ვიდეო [მიმართვაში](#) მახარაძემ ტელეეკრანიდან და პარტიიდან დროებით გაუჩინარების შესახებ განაცხადა.

[ტვ პირველის](#) ინფორმაციით, პარტიაში საკადრო ცვლილებების მიზეზი გახდა კოკა მორგოშიასა და ზურა მახარაძეს შორის არსებული დაპირისპირება, რუსული ფულის გაფლანგვის ურთიერთბრალდებით. ამ ინფორმაციას კონსტანტინე მორგოშიამ „ბოდვა და ტყუილი“ უწოდა და აღნიშნა, რომ მას და ზურა მახარაძეს შორის არანაირ დაპირისპირებას არ ჰქონია ადგილი. **„ზურაბ მახარაძე აღარ არის პარტიის თავმჯდომარე, რადგან მასთან დაკავშირებით გვაქვს სხვა გეგმები. ჩვენ პარტიას არ ჰყავს ბელადები, ყველა ჩვენი წევრი ჩვენთვის ძვირფასია, ასე რომ არ აქვს დიდი მნიშვნელობა, პარტიის რომელი წევრი იქნება თავმჯდომარე“** განაცხადა „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელმა კოკა მორგოშიამ მედია პლატფორმა „ალიასთან“ [ინტერვიუში](#).

საანგარიშო პერიოდში შიდა საორგანიზაციო ცვლილებების ფონზე შენარჩუნდა პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგიონული გაფართოებისა და ხილვადობის ზრდის ტენდენცია. ღიად კრემლისტურმა ძალამ მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიურად განაგრძო რეგიონული ოფისების გახსნა. კვლავ [საეჭვოა](#) პარტიის დაფინანსების წყაროები და კერძო შემოწირულობები, რომელიც სრულიად შეუსაბამოა ლოჯისტიკური ხარჯების რაოდენობასთან. საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიის ახალი, რეგიონული ოფისები [გაიხსნა](#) მესტიაში, ზუგდიდში, ყაზბეგში, ასპინძაში, წალკაში, ადიგენში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ქობულეთში. მთელ რიგ შემთხვევებში, პარტიის სათავო ოფისების გახსნას საზოგადოებრივი პროტესტი მოჰყვა, რომელიც ფიზიკურ და სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 22 მარტს [ქობულეთში](#) ახლად გახსნილი „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისთან გამართულ საპროტესტო აქციას ჯგუფური ძალადობა მოჰყვა. სამოქალაქო აქტივისტები მოითხოვდნენ პრორუსული პარტიის ოფისის დახურვას, რაც მალევე გადაიზარდა მათ წინააღმდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაში. საპროტესტო აქციაზე, პროკურატურამ ბრალი 5 პირს წარუდგინა. „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ საქმიანობასა და ოფისის გახსნას აპროტესტებდნენ ოზურგეთშიც. 12 მარტიდან ადგილობრივმა სამოქალაქო აქტივისტებმა პერმანენტული აქციები დაიწყეს, რომლის მთავარი მოთხოვნაც ოზურგეთში ღიად პრორუსული პარტიის

საქმიანობის შეწყვეტა იყო. ოზურგეთში „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისის გახსნა მღვდელმა ვახტანგ თოხაძემ [აკურთხა](#) და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „რუსეთთან კავშირი აუცილებელია.“ ამის გამო, მას შემოქმედის მიტროპოლიტმა მეუფე იოსებმა მღვდელმსახურება [შეუჩერა](#).



კონსერვატიული მოძრაობა - ოფიციალური გვერდი ...
28 March

დღეს პარტია "კონსერვატიული მოძრაობის" ოფისები მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში გაიხსნა. ხაიშის ოფისს ნინო ჭკადუა, ხოლო დარჩელის ოფისს რენო კუკავა და მათე მარშანია უხელმძღვანელებენ. პარტიაში გაწევრიანების ან გასაუბრების მსურველებს შევიძლიათ მოგვმართოთ ზემოთ აღნიშნულ მისამართებზე.



სამოქალაქო პროტესტის ფონზე გაიხსნა „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგიონული ოფისები [ონსა](#) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ [დარჩელში](#). მარტის ბოლოს, [ონში](#) სამოქალაქო აქტივისტებმა კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისი უკრაინის დროშის ფერებში შეღებეს. მოქალაქეთა მცირე ჯგუფმა ოფისის კარს უკრაინის დროშა მიახატა და წითლად მიაწერა „Z“ - რუსეთის პროპაგანდისტული იარაღის სიმბოლო. [28 მარტს](#) „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგიონული ოფისის გახსნას სოფელ დარჩელში მცისიერად მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი.



წყარო: რეგინფო



წყარო: მთის ამბები